ქ. თბილისი, ჯავახეთის ქ. №152ბ

ს.კ. 01.19.36.013.070

არსებული შენობა-ნაგებობის (01/1)

დემონტაჟის პროექტი

სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი

ქ. თბილისი 2025 წ.

შინაარსი:

1. განმარტებითი ბარათი
2. მშენებლობის პირობების და ობიექტის დახასიათება
3. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები
4. უსაფრთხოების ტექნიკა
5. გარემოს დაცვის ღონისძიებები

1. მოთხოვნილება მშენებლობისათვის საჭირო ენერგეტიკულ რესურსებზე: წყალზე, კომპრესორზე და ჭანგბადზე
2. ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი
3. გამოყენებული ლიტერატურა
4. სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების გრაფიკი
5. გრაფიკული ნაწილი (მოპ1)

1. განმარტებითი ბარათი

ქალაქ თბილისში მდებარე დამხმარე შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდით 01.19.36.013.070) დემონტაჟის სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის შედგენას საფუძვლად დაედო ადგილზე დათვალიერება-შესწავლა, დავალება პროექტირებაზე, მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა და არსებული ფართის აზომვითი ნახაზები. შენობა ფუნქციურად წარმოადგენს სატრანსფორმატორო ქვესადგურს. დაგეგმილია არსებული შენობის დემონტაჟი და ტერიტორიის მოსუფთავება.

სადემონტაჟო შენობა ერთსართულიანია, გეგმარებაში მართხკუთხა მოხაზულობის. პროექტის შედგენის წინ მოხდა შენობების, ეზოების და მთლიანად ტერიტორიის დათვალიერება, საიდანაც გამოიკვეთა, შენობა 01/1 უშუალოდ ემიჯნება შენობას 01/1 (ს.კ. 01.19.36.013.006). სადემონტაჟო შენობა-ნაგებობა საზოგადოებრივი სივრცეებისგან გამიჯნულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №361 -თან შესაბამისობაში. ვინაიდან, სადემონტაჟო შენობის მომიჯნავე ტერიტორიებზე უკვე მიმდინარეობს ან/და განხორციელდა დემონტაჟი, კონკრეტულად მოცემულ შენობას აღარ ესაჭიროება სამშენებლო ღობის მოწყობა, რადგან მიწის ნაკვეთი ისედაც გარემოცულია ღობით. იხ. დანართი №1.

2. მშენებლობის პირობების და ობიექტის დახასიათება

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში ჯავახეთის ქუჩის №152ბ-ში მდებარე შენობის 01/1 დემონტაჟს. შენობა აშენებულია გასული საუკუნის 70-80 იან წლებში

შენობა 01/1 წარმოადგენს დამხმარე ფუქნციის მქონეს, რომელიც ამჟამად არაექსპლუატირებადია. აშენებულია რკინაბეტონის კარკასით, შერეული: მსხვილი ბლოკისა და სილიკატური აგურის შემავსებლით. საძირკველი რკ.ბეტონის ფილა.

სადემონტაჟო შენობების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

1. ნაკვეთის ფართი 96.00 მ^2
2. სადემონტაჟო შენობის საერთო ფართი 104,7 მ^2

შენობა №	ფართი
01/1	104,7

3. სადემონტაჟო შენობის სამშენებლო მოც. 691 მ^3

შენობა №	მოცულობა
01/1	691.02

3. მშენებლობის ხანგრძლივობა

სამუშაოთა ხანგრძლივობისა და დემონტაჟის წარმართვის თვალსაზრისით ობიექტი მარტივი კატეგორიისაა. მოცემული შენობა ერთსართულიანია, მცირეჩაღრმავების მქონეა. სნ და წ 1.04.03-85 "მშენებლობის ხანგრძილივობის ნორმები"-ზე დაყრდნობით დემონტაჟის ხანგრძლივობის ვადად მიღებულ იქნა -2 თვე

4. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები

სადემონტაჟო ნაგებობის დაშლამდე აუცილებელია, საინჟინრო ქსელების, კომუნიკაციებისა და კაბელების ჩახსნა საქალაქო ქსელებიდან შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ.

სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება შენობისთვის 01/1 შესაძლებელია როგორც ტექნიკის გამოყენებით, ასევე ხელით. ეს დასაშვებია, ვინაიდან მომიჯნავე შენობა ნაგებობაზე 01/1 (ს/კ 01.19.36.013.006) ასევე მიმდინარეობს დემონტაჟის ნებართვის მოპოვება და სამუშაოები განხორციელდება ერთობლივად.

სამუშაო მოედანზე აუცილებლად უნდა იქნას დაცული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობები და უსაფრთხოების წესები.

აუცილებელია დემონტაჟის განხორციელების პროცესი ტექნიკური ზედამხედველის მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდეს.

სავალდებულოა ტერიტორიის დროებითი შემოღობვა, ხოლო ღობეზე გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ბანერების მოთავსება.

სადემონტაჟე შენობები უნდა შეიფუთოს სამშენებლო ფარდით, გარემოში დამტვერიანების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროების შემთვევაში.

სნ და წ 3.01.01-85* "სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია"-ს მოთხოვნის შესაბამისად, სადემონტაჟო სამუშაოების დაწყება აკრძალულია დამტკიცებული სამუშაოთა წარმოების პროექტის გარეშე.

დემონტაჟის პროექტის ძალაში შესვლისთანავე ობიექტზე უნდა დაიწყოს მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება: განთავსდეს

საინფორმაციო და გამაფრთხილებელი ბანერები, განთავსდეს დემონტაჟის ორგანიზაციის გენ-გეგმაზე დატანილი დროებითი ნაგებობები. ტერიტორია უნდა შემოიღობოს, ხოლო ტროტუარის გასწრივ მოეწყოს გადახურული ღობე.

შენობის დაშლა მოხდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

1. მოიხსნას სახურავის საფარი
2. შიდა კედლებზე მოეწყოს ხარაჩოები კედლების დასაშლელად
3. ტიხრების დაშლა (ზემოდან ქვემოთ)
4. მზიდ კედლებსა და გადახურვებში ჩამაგრებული კონსოლური ელემენტების მოშლა (დემონტაჟის მიმდინარეობისას დაუშვებელია კონსოლურ ელემენტებზე დაშლილი ან ნებისმიერი მასალის დასაწყობება)
5. მზიდი კედლების დაშლა (ზემოდან ქვემოთ)
6. საძირკვლის დაშლა
7. მომიჯნავე შენობებთან სიახლოვის პირობებში აუცილებელია დაშლა განხორციელდეს ხელით, ტექნიკის გარეშე

საჭიროების შემთხვევაში მოხდეს დასაშლელი შენობების დროებითი გამაგრება!

5. უსაფრთხოების ტექნიკა

ა) უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა პირთა ყოფნა სამშენებლო ტერიტორიაზე ყოვლად დაუშვებელია

ბ) მუშა-პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფაზე, ასევე ჩატარდეს გამოცდაც და აღინიშნოს ხელმოწერებით ჟურნალში

გ) სამუშაოთა შესრულების დროს საჭიროა СНиП - III -80 თავის "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დაცვა.

დ) ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების მიხედვით, ელექტრო კარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ხოლო ელექტრო კაბელები, სადენები და მოწყობილობები იზოლირებულად.

ე) სამუშაო მოედანზე მომუშავე პირები უნდა იყვნენ აღჭურვილი სათანადო ეკიპირებით

ვ) დაუშვებელია ხელსაწყოების, მოწყობილობებისა და მანქანების დატოვება ჩართულ მდგომარეობაში, ზედამხედველობის გარეშე.

ზ) ლითონის ელემენტების ჩაჭრისას ელექტრო ან აიროვანი აპარატებით 5 მეტრის რადიუსში ფართობები უნდა განთავისუფლდეს წვადი მასალებისაგან, ხოლო 10 მეტრის რადიუსში-ასაფეთქებელი მასალებისაგან.

6. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხი

ა) სადემონტაჟო სამუშაოების დაწყება დაიშვება ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შედეგად, სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის დაბინძურების საწინააღმდეგო პირობების დაცვით

ბ) გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე იკრძალება ტერიტორიაზე და მის ახლო მდებარე მრავალწილიანი ხეებისა და ნარგავების თვითნებურად მოჭრა და გადარგვა

გ) აკრძალულია სელიტებურ რაიონებში მშენებლობის სიახლოვეს დიდი რაოდენობით ბეტონის ხსნარის შემოზიდვა. ეს საკითხი ორგანიზებულ ინდა იქნას სპეციალური სასაქონლო ზედნადებით და სპეც. ტექნიკის (მიქსერებით) ეტაპობრივად, საჭიროებისამებრ

დ) დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭებში ბეტონის ხსნარის მილსადენის ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სხვა სამშენებლო მასალით

ე) სადემონტაჟო სამუშაოების შესრულებისას აუცილებელია ფასადს ჩამოეფაროს სპეც ფარად, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა სპეციალურ სელიტებურ ზონაში

ვ) სადემონტაჟო სამუშაოების შესრულებისას ყოვლად დაუშვებელია ნაგვის ჩამოყრა ღიად, ეს უნდა განხორციელდეს სპეციალური კონუსური ფორმის ნაგავსაყრელით და უშუალოდ ავტოთვითმცლელი მანქანის ძარაში

ზ) გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები ხანძრის თავიდან აცილების მიზნით ამჟამად მოქმედი სანიტარული ნორმების გათვალისწინებით. ასევე ჩატარდეს შესაბამისი ღონისძიება რათა სამშენებლო ხმაური არ აღემატებოდეს 55 დბ-ს.

თ) ასევე გათვალისწინეულ უნდა იქნას სამშენებლო ნარჩენების მინიმიზაცია, ხოლო პოლიმერული ნარჩენები გატანილ იქნას სპეც. ნორმების მიხედვით

ი) სამუშაო პროცესში წარმოქმნილი მტვრის თავიდან აცილების მიზნით ტერიტორია ხშირად მოირწყას და გატანილ იქნას მტვრიანი სამშენებლო მასალა დახურული ტენიანი კონტეინერებით. ხოლო მაღალი სართულებიდან ასევე მტვრიანი ნარჩენი შეკრებილ იქნას კონუსური ნაგავმცლელით

1. მოთხოვნილება მშენებლობისათვის საჭირო ენერგეტიკულ რესურსებზე, კომპრესორზე და ჟანგბადზე

დროებით წყალმომარაგებაზე
დროებით ენერგომომარაგებაზე
კომპრესორებზე
ჟანგბადზე

2. სამშენებლო მანქანების, დანადგარების, მექანიზმებისა და ინსტრუმენტების ჩამონათვალი

1	მობილური ამწე	1
2	უკუჩამჩიანი ექსკავატორი	1
3	გადასატანი კომპრესორი	1
4	სანგრევი ჩაქუჩი	2
5	თვითმცლელი ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი	1
6	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუქმენტები: ბარი, წერაქვი, ნიჩაბი, ლომი და სხვა	5
7	ხელით საბორავი ერთთვალა ურიკები	2
8	ბოლგარკის ტიპის ან უფრო თანამედროვე კონსტრუქციების საჭრელი მოწყობილობა	1
9	პნევმატური ინსტრუქმენტი, საბურღი, ხრახნდამჭერი და სხვა	1
10	ვიბროსამსხვრევი	1

მითითებები: რეკომენდირებული მანქანადანადგარები და ინსტრუმენტები შესაძლებელია დამკვეთის მიერ შეიცვალოს ანალოგიური ან უფრო თანამედროვეთი

3. გამოყენებული ლიტერატურა

სნ და წ III-4-80	უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში
სნ და წ 3-01-01-85*	სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია
სნ და წ 1.04.03-85	მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები
დადგენილა №361 27.05.2014	მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი
დადგენილება №477 27.10.2017	სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი

სამუშაოთა ჩამონათვალი	I თვე						II თვე					
	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30
სახურავის დაშლა												
კარ-ფანჯრების მოხსნა												
ტიხრების დაშლა												
კედლების დაშლა												
საძირკვლის დაშლა												
ტერიტორიის დასუფთავება												

D:\FOTO\Topo Fotos\2023\javax.png

მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული

გეგმა

მისამართი: ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩის მიმდებარედ

დანიშნულება: არასასოფლო - სამეურნეო



პირობითი აღნიშვნები

ძს	საცხ. შენობა	ბორდიული	წყალგაყვანილობა
ძას	არასაცხ. შენობა	ხის ღობე	გაზი
	ფარდული	ღობე	კანალიზაცია
	მშენებარე შენობა	ქვის კედელი	სანიაღვრე
	სატრანსფორ. ჯიხური	საყრდენი კედელი	კავშირგაბმულობა
	ხეები, ბუჩქი	ფლატე	ელ. ქსელები
	გარე განათება	რკინიგზა	გათბობა
		სამეთვალყურეო ჭები	მ/ქ კომუნიკაცია დატანილია
		მეტ., ბეტ., ხის ბოძები	არქივის მასალების მიხედვით
		ელ. გადამცემი ხაზი	

შენიშვნა:
- რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
- მომიჯნავედ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
- მიწის სამუშაოების შესრულებისას შეატყობინეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებს

WGS84-UTM-38N

იონ. მეწარმე იოსებ გოგუა
ს/ნ 62003015935

ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქ. №59 ბ.№1
soso1227gogua@gmail.com

შეასრულა:		ი. გოგუა
დაამუშავა:		ი. გოგუა
მაშტაბი: 1:500		25.09.2023 წ.

X=4616200

Y=489050

დემონტაჟის ორგანიზაციის სამშენებლო გენ-გეგმა



დროებითი ღობის მოწყობის სქემატური ნახაზი



*დროებითი ღობე უნდა მოეწყოს ნითელი ხაზის საზღვრებში, ქუჩისა და სამეზობლო მიჯნაზე, სადაც განლაგებულია ექსპლუატირებადი შენობები მოეწყოს გადახურული ტიპის დროებითი ღობე. არსებული შემოღობვა შესაძლებელია შენარჩუნდეს, ხოლო არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში მყოფი მონაკვეთები ჩანაცვლდეს ახლით.

ორთოფოტო



პროექტის სახელწოდება

დამხმარე ფუნქციის შენობა-ნაგებობის დემონტაჟი

მისამართი

ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №152ბ, ს.კ. 01.19.36.013.070

პირობითი აღნიშვნები:

- სადემონტაჟო შენობა
- შეთანხმებული სადემონტაჟო შენობა
- დროებითი ნაგებობა
- დროებითი ღობე
- დროებითი ღობე გადახურული
- დროებითი ჭიშკარი

ექსპლიკაცია:

1. დაცვის ჯიხური
2. სამუშაოთა მწარმოებლის ოთახი
3. გასახდელი
4. სველი წერტილი
5. მობილური ამწე
6. ექსკავატორი
7. ავტოთვითმცლელი

დამკვეთი	შპს სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი	
კონსტრ.	ა. ბოჭაძე	
დემონტაჟის ორგანიზაციის სამშენებლო გენ-გეგმა		
ფურცელი		1
მასშტაბი	1:250	თბილისი 2026 წ.
ფორმატი	A3	



ჭრილი 1–1



ჭრილი 2–2



პროექტის სახელწოდება

დამხმარე ნაგებობა

მისამართი

ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №152ბ, ს.კ. 01.19.36.013.070

დამკვეთი	შპს. სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი	
კონსტრ.	ა. ბოჭაძე	ა.ბოჭაძე
ფურცელი		
მასშტაბი		თბილისი 2025 წ.
ფორმატი	A3	

ჩრდილოეთის ფასადი



დასავლეთის ფასადი



სამხრეთის ფასადი



აღმოსავლეთის ფასადი



პროექტის სახელწოდება	
დამხმარე ნაგებობა	
მისამართი	ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №152ბ, ს.კ. 01.19.36.013.070

დამკვეთი	შპს. სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი	
კონსტრ.	ა. ბოჟაძე	ა.ბოჟაძე
ფურცელი		
მასშტაბი		თბილისი 2025 წ.
ფორმატი	A3	


15.12.2025


15.12.2025



10.01.2026


10.01.2026


10.01.2026


10.01.2026


10.01.2026

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №152ბ (ს/კ 01.19.36.013.070) მდებარე შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შესახებ

თბილისი

2026წ

1. ექსპერტიზის ჩატარების საფუძველია, მოთხოვნა საექსპერტო დასკვნის შედგენაზე ჯავახეთის ქუჩის №152 ბ-ში (ს/კ/ 01.19.36.013.070) მდებარე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტზე.
2. საექსპერტო დასკვნის შედგენამდე მოხდა ტერიტორიის შესწავლა, ლაზერული მანძილმზომის მეშვეობით. ასევე განხორციელდა არსებული სიტუაციის ფოტოფიქსაცია
3. გამოყენებული ლიტერატურა
   - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 მაისის №255 დადგენილება "გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ"
   - სამშენებლო ნორმების და წესების "სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01-09) ბრძანება №1-1/2284 2009 წლის 7 ოქტომბერი.
   - სამშენებლო ნორმების და წესების "ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები" (პნ 01.01.-09) ბრძანება №1-1/2391 2009 წლის 23 ოქტომბერი
   - СниП 2.02.01-83* შენობების და ნაგებობების ფუძეები
   - СП 13-102-2003 Правила обследования технического состояния несущих стройтельных конструкций зданий и сооружений.

4. კვლევითი ნაწილი

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქ. თბილისში, ჯავახეთის ქუჩის №152 ბ ში (ს/კ. 01.19.36.013.070) მდებარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი.

დემონტაჟის პროექტში მოცემულია ობიექტის დახასიათება, სამუშაოთა წარმოების წესებისა და მეთოდების ჩამონათვალი, უსაფრთხოების ტექნიკა, გარემოს დაცვითი ღონისძიებები. აგრეთვე მოცემულია მოთხოვნა მშენებლობისთვის საჭირო ენერგეტიკულ რესურსებზე, ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და ინსტრუმენტების ჩამონათვალი, სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების გრაფიკი, ნახაზები, საკადასტრო გეგმა, ტოპო გეგმა და არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა

საკადასტრო გეგმისა და საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით ტერიტორიაზე განლაგებულია მხოლოდ ერთი შენობა-ნაგებობა, რომელიც მიდგმულია მომიჯნავე ნაგებობაზე (მდებარეობს ნაკვეთზე ს/კ 01.19.36.013.006). ორი შენობა უშუალოდაა ერთმანეთის გვერდიგვერდაა განთავსებული, თუმცა გააჩნიათ ცალკემდგომი საძირკვლები და ყველა მზიდი ელემენტი, ასევე საკუთარი კედლები (უშუალო სიახლოვეში მდგომი კედლები არაა საზიარო). გათვალისწინებულია ტერიტორიაზე მდგომი შენობა-ნაგებობის დემონტაჟი და ტერიტორიის მოსწორება.

შენობა-ნაგებობის დახასიათება: 01/1; აგებულია რკინაბეტონის კარკასით და ბლოკის არაერთგვაროვანი წყობით, საძირკველი-რკინაბეტონის ფილა.

ვინაიდან, შენობას ემიჯნება სამეზობლოდ მდგომი შენობა-ნაგებობა, მისი დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ხელით, კატეგორიულად დაუშვებელია მძიმე ტექნიკის გამოყენება.

დემონტაჟის პროექტი შედგენილია ანა ბოჟაძის მიერ და ითვალისწინებს შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების პირობებსა და მეთოდებს.

პროექტის მიხედვით, დემონტაჟის წინა მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს:

- უცხო პირთა გაყვანა სადემონტაჟო უბნიდან
- დროებითი ღობის დაყენება
- გარე და შიდა ქსელების მოხსნა
- ნაგვის გატანა შიდა სივრციდან და ეზოდან
- ასფალტის საფარისა და ფილების აყრა
- მრიცხველების მოხსნა

სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს ზემოდან ქვემოთ სათანადო კომისიის დასკვნებით. უსაფრთხოების მენეჯერი/სპეციალისტის მიერ სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე უნდა განხორციელდეს საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების შეფასება და პრევენციული ზომების შემუშავება!

აკრძალულია: ერთდროულად რამდენიმე სახის კონსტრუქციის დემონტაჟი!

სამუშაოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული:

კონსტრუქციის დროებითი გამაგრება (საჭიროების შემთხვევაში), მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა: სპეციალური ქამრებით, რესპირატორებით, დამცავი სათვალეებით, ხმაურდამხშობი საყურისებით, ხელთათმანებით და სპეც. ტანსაცმლით, დემონტირებული კონსტრუქციების დროებითი დასალაგებელი ადგილი, აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ. ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციის გამაგრება.

ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი და ღამის საათებში განათებით უზრუნველყოფილი. სამშენებლო ნაგავი დროულად უნდა იქნას გატანილი.

სამუშაოების თანმიმდევრობა, იხ. დემონტაჟის პროექტი.

შიდა ხარაჩოები უნდა იყოს ქარხნული ინვენტარული ტიპის. სიმაღლე 900მმ-1800მმ. სიგრძე 5500 მმ. სიგანე 2400 მმ. მასა 234 კგ. სამუშაო მოედანზე უნდა მოეწყოს გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები; მუშების ადგილმდებარეობა სადემონტაჟო ზონაში უნდა იყოს 1.0-1.5 მ. დაშორებით აწეული ელემენტისგან.

ყველა სამუშაოს განხორციელება ხდება საქართველოს მთავრობის მოთხოვნათა გათვალისწინებით:

- 2007 წ. 28 მარტის №26 დადგენილება- "მშენებლობის წესები"
- 2017 წ. 27 ოქტომბრის №477 დადგენილება-" სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნები"
- 2014 წ. 27 მაისის ტექნიკური რეგლამენტი –"მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი "შრომის უსაფრტხოების შესახებ"

ტერიტორია ხასიათდება მცირე რელიეფით. საინჟინრო კომუნიკაციები: წყალსადენი, კანალიზაცია, დაბალი ძაბვისა და გაზმომარაგების ქსელებია. დემონტაჟის დაწყებამდე საჭიროა მათი ჩაჭრა ან გადაადგილება. დემონტაჟის ხანგრძლივობის ვადად განსაზღვრულია 6 თვე. სამუშაოთა დაწყება შესაძლებელია მხოლოდ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ სათანადო ნებართვის მიღების შემდგომ.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპი უნდა ესადაგებოდეს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ "მშენებლობის უსაფრთხოების წესებს" და "სნ და სწ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" და სხვა ნორმატივებს.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება, მათი გაშლის არეალი და გამოყენებული მანქანა-მექანიზმები. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი დემონტაჟის პროექტი მისაღებია და მას ეძლევა დადებითი შეფასება.

დასკვნა

ქ. თბილისში, ჯავახეთის ქუჩის №152ბ ში (ს/კ. 01.19.36.013.070) მდებარე შენობა-ნაგებობის დემონტაჟის პროექტი დამუშავებულია შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით და დემონტაჟი უნდა განხორციელდეს პროექტიში მითითებული თანმიმდევრობით, ხელით. დემონტაჟის დროს მკაცრად უნდა იქნას დაცული შრომის უსაფრთხოების წესები

დემონტაჟის პროექტი მისაღებია და მას ეძლევა დადებითი შეფასება

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №152ბ ს/კ (01.19.36.013.070) მდებარე შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შესახებ

ექსპერტი,
ინჟინერ-კონსტრუქტორი /თ.გეგეჭკორი/

☎: 555-41-95-08

✉: gegechkori1951@gmail.com

10.01.2026

თბილისი

2026წ

CV

სახელი გვარი	თამაზ გეგეჭკორი
დაბადების თარიღი:	10.05.1951 წ.
დაბადების ადგილი:	მარტვილის რაიონი
მისამართი:	ქ. თბილისი, ნუცუბიძის პლატო, I მკრ., I კორპ., ბ. 50
ტელეფონი:	555 51 95 08
ოჯახური მდგომარეობა:	დაოჯახებული

განათლება:

1957-68	თბილისის კომაროვის სახელობის მათემატიკური სკოლა
1968-1973	საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი წარჩინებით, სპეციალობა – ინჟინერ-მშენებელი
1973-77	სეისმომედეგობის ინსტიტუტი, ასპირანტურა (დაუსწრებელი)

სამუშაო გამოცდილება:

1973-77	თბილზნიეპის მე-2 არქიტექტორულ სახელოსნო, ინჟინერ-კონსტრუქტორი (განაწილებით)
1977-83	ტიპიური პროქტების ცენტრალური ინსტიტუტის ექსპერტიზის განყოფილება, ჯგუფის ხელმძღვანელი, მშენებარე ობიექტის ტექნიკური ზედამხედველი
1983-2000	საქსახპროექტის მე-2 სამშენებლო განყოფილება, უფროსის მოადგილე, უფროსი. რესპუბლიკის მასშტაბით მრავალი სამრეწველო ობიექტის დაპროექტება და მათი მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობა.
1991-93	მონაწილეობა რაჭაში მომხდარი მიწისძვრით დაზიანებული სახლების აღწერა და აღდგენა
1994-98	ქ. ფოთის პორტის რეკონსტრუქციის პროექტი
2011-2016	კერძო ფირმა შპს „GHP“, ინჟინერ-კონსტრუქტორი
2016-დღემდე	შპს „ბალავერი“, შპს „ედრი“, შპს „გარანტი გრუპი“, ინჟინერ-კონსტრუქტორი, ექსპერტი

ენების ცოდნა: ქართული – მშობლიური, რუსული – კარგად

მართვის მოწმობა: „B“ კატეგორია

СВИДЕТЕЛЬСТВО О ПЕРЕМЕНЕ ФАМИЛИИ, ИМЕНИ, ОТЧЕСТВА
გვარის, სახელის, მამის სახელის გამოცვლის მოწმობა

Гражданин (ка) / მოქალაქე [illegible]

[illegible] [illegible]

фамилия, имя, отчество

родившийся (аяся) / დაბადებული 10. [illegible] 1957 г.

место рождения / დაბადების ადგილი [illegible]

переменил (а) фамилию, имя, отчество на / გამოიცვალა გვარი, სახელი, მამის სახელი [illegible]

[illegible] [illegible]

о чем в книге регистрации актов о перемене фамилии, имени, отчества

1982 года [illegible] месяца 10 числа

произведена запись за № 57

Место регистрации [illegible]

наименование и местонахождение органа ЗАГСа

[illegible]

Дата выдачи 10. 07. 1982

Заведующий отделом (бюро) записи актов гражданского состояния

I-ТИ № 263478

ФГ Госзнака. 1977. Грузинск...

დიპლომი

ფარნიანებით

ა № 001038

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

а № 001038






Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
თამაზ
TAMAZ
გვარი / LAST NAME
გეგეჭკორი
GEGETCHKORI
მოქ. / CIT
სქესი / SEX
პირადი No / PERSONAL No
GEO
მმ / M
01010015476
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
10.05.1951
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
25.04.2026
ხელმოწერა
SIGNATURE
ბარათის No / CARD No
15IB00660


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
მარტვილი
MARTVILI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
25.04.2016
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE015IB00660701010015476<<<<
5105106M2604251GE0<<<<<<<<<<<1
GEGETCHKORI<<TAMAZ<<<<<<<<<<<